ნიკო ზოოპარკში

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	მხატვრული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	68
კითხვის დონე:	III
ტექსტის მოკლე შინაარსი:	მხატვრული ტექსტი. საინტერესო ისტორია პატარა ბიჭის შესახებ, რომელიც მშობლებმა ზოოპარკში წაიყვანეს.

ტექსტის მიზანი

„ნიკო ზოოპარკში“ მხატვრული ტექსტია, რომელიც ხელს უწყობს ცხოველთა და ფრინველების სახელების გახსენება/დასწავლას და მათ კლასიფიკაციას. ტექსტის კონცეფციური ჩარჩო საშუალებას იძლევა, მოსწავლეები ტექსტის ჩარჩოებს გარეთ გამოვიდნენ და საკუთარი არგუმენტირებული დამოკიდებულება გამოხატონ კონკრეტული ცხოველისა თუ ფრინველის მიმართ, განსაზღვრული ლექსიკური მარაგის ფარგლებში.

ტექსტის ამოცანები

ფონეტიკური	ლექსიკური	გრამატიკული
„საშიში“ – „შაშიში“ (რეგრესიული ასიმილაციის პრევენცია).	გარეულ ცხოველთა და ფრინველთა სახეობები / დასახელებები. ლომის ნაშიერის დასახელება. ზედსართავები: „საშიში“ და „ლამაზი“	შედარებითი ფორმა „ერთი უფრო თუ მეორე“ ფორმა „გალია-ში“ (-ში თანდებულის მართებულად გამოყენება).

გაგება/გააზრება

ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები	სტრუქტურულად ერთგვაროვანი ფორმები, რომელთა დასწავლაა შესაძლებელი და სივრცე, რომელიც ტექსტის სტრუქტურული წყობისგან არის მოცემული ტექსტის კითხვის პერიოდშივე მსჯელობისათვის.
შინაარსობრივი მხარე	განზოგადება - მტაცებელი ცხოველები საშიშები არიან; დასკვნის გამოტანა: თუ ვეფხვიც მტაცებელია, ესე იგი ლომი მტაცებელი ყოფილა. დასკვნის გამოტანა: ცხოველები და ფრინველები შეიძლება მტაცებლები და საშიშნი იყვნენ, თუმცა, ამასთან - ლამაზებიც.
ჟანრობრივი მხარე	ნარატიული ტექსტი, სადაც შეჭრილი კითხვები დიალოგის წარმართვის საშუალებას ან პირიქით, ტექსტის მთლიანად ნარატიულ ფორმაში წარმართვის საშუალებას იძლევა.

საჭირო მასალა:

ცხოველებისა და ფრინველების სურათებიანი ბარათები;
ზედსართავი სახელებიანი ბარათები;
ორგანიზატორი, რომელიც ქვევითაა მოცემული.

საგაკვეთილო აქტივობები

კითხვამდელი ფაზა:

შეეკითხეთ მოსწავლეებს, ყოფილან თუ არა ზოოპარკში. შეეკითხეთ მოსწავლეებს, მოსწონთ თუ არა ზოოპარკი და რატომ მოსწონთ. შეეკითხეთ მოსწაველეებს, რომელი ცხოველები/ფრინველები მოსწონთ ყველაზე მეტად და რატომ. ჩამოწერეთ დაფაზე მოსწავლეების მიერ დასახელებული ცხოველები/ფრინველები. ჰკითხეთ მოსწავლეებს, ყველა იცნობს თუ არა დასახელებულ ცხოველებს/ფრინველებს. სთხოვეთ მათ, ვინც იცნობენ, ახსნან თანაკლასელებისათვის, რა ცხოველზე/ფრინველზეა საუბარი.

კითხვის ფაზა:

იკითხეთ, ვის უნდა კითხვის დაწყება. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ მზად იყვნენ კითხვის გასაგრძელებლად. სთხოვეთ ერთ-ერთ მოსწავლეს იყოს ნიკო და სადაც საჭიროა, დასვას კითხვები. სთხოვეთ თითოეულ მოსწავლეს, წაიკითხოს ერთ

ცხოველთან/ფრინველთან დაკავშირებული ტექსტი. გაიმეორეთ ამგვარი პროცესი მანამდე, სანამ ყველა მოსწავლეს არ მიეცემა საშუალება, წაიკითხოს.

კითხვის შემდგომი ფაზა:

ჰკითხეთ მოსწავლეებს, მოეწონათ თუ არა მოთხრობა. ჰკითხეთ მათ, აქვთ თუ არა საკუთარი მოსაზრებები მოთხრობაში დასმულ ნიკოს კითხვებზე. განიხილეთ მთელ კლასში, როგორ ფიქრობენ მოსწავლეები, ლომი უფრო საშიშია თუ ვეფხვი. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებებები. სთხოვეთ მოსწავლეებს დაიყონ პატარა-პატარა ჯგუფებად და დაურიგეთ მათ ქვემოთ მოცემული ორგანიზატორი და ბარათები ცხოველების/ფრინველების გამოსახულებით და ცხოველებისა და ფრინველების მახასიათებელი ზედსართავებით.



ცხოველების/ფრინველების ბარათებზე მოცემულია შემდეგი სიტყვები:

ცხოველები: ლომი, ვეფხვი, ავაზა, დათვი, მგელი, მელია, ტურა, ირემი, კურდღელი.

ფრინველები: არწივი, ყვავი, სვავი, ბუ, ქორი, სირაქლემა, წერო, ფარშევანგი, გედი.

მახასიათებელ ბარათებზე მოცემულია შემდეგი სიტყვები:

გარეული, შინაური, მტაცებელი, გრძელი, კისერი, მოკლე, თათები, ბასრი, ბრჭყალი, ეშვი, ჭრელი, ფრთები, ყურები, შავი, ბეწვი, ძლიერი, ფეხები

მოსწავლეების პატარა ჯგუფებს დაურიგეთ 4 ცხოველისა და ფრინველის ბარათი და ყველა ზედსართავი. აუხსენით, რომ ჯგუფში განიხილონ და ორგანიზატორის მეშვეობით დაახასიათონ საკუთარი ცხოველები ისე, რომ გაითვალისწინონ: საშიში შეიძლება ლამაზიც იყოს, როგორც ეს ტექსტშია მოცემული.

შესრულებული ამოცანა მოსწავლეების ჯგუფს კლასის წინაშე წარადგენინეთ. თუ ერთი და იგივე ცხოველის/ფრინველის ბარათი შეხვდათ და სხვადასხვა მახასიათებლები მიუსადაგეს ჯგუფებმა, სთხოვეთ მათ, დაიცვან საკუთარი შეხედულებები.

გაკვეთილის ბოლოს სთხოვეთ მოსწავლეებს, 3 სიტყვით გაგიზიარონ, რა ისწავლეს, რა მოეწონათ და რა არ მოეწონათ.

საშინაო დავალება: სთხოვეთ მოსწავლეებს, 5 წინადადებით დაახასიათონ საყვარელი ცხოველი/ფრინველი მოცემული სიტყვების გამოყენებით.